



3468-15-14-2-202104121750



N 15-14/3468

12/04/2021

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ ნიკოლოზ მარგველაშვილს

სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება

ბატონო ნიკოლოზ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2020 წლის 28 ნოემბერს პოლიციის თანამშრომლების მიერ [REDACTED] და [REDACTED] დაკავების და პირადი ჩხრეკის კანონიერების საკითხი. საქმისწარმოების ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატი სრულად გაეცნო დაცვის მხარის მიერ გადმოცემულ სისხლის სამართლის საქმე N041190920001 მასალებს.

დოკუმენტების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ [REDACTED] და [REDACTED] საქმე არის სისხლის სამართლის საქმეთა სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელი ფუნდამენტური ხარვეზების ნათელი დადასტურება. მოცემული საქმე ასახავს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დამკვიდრებულ არასწორ პრაქტიკას, რომლის შედეგადაც მოქალაქეები კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების გარეშე რჩებიან. პირადი ჩხრეკის ჩატარება ნეიტრალური მტკიცებულებების შექმნის გარეშე, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს პირის პასუხისმგებლობაში მიცემისათვის და დასტურდება მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების ჩვენებით, ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩავთვალე, მომემართა სასამართლო მეგობრის მოსაზრებით. ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს“.¹

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში“.²

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „დაინტერესებულ პირს, რომელიც არ არის მხარე განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში, უფლება აქვს, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით“.³

ვსარგებლობ რა მითითებული ნორმებით მონიჭებული უფლებამოსილებით, წარმოვიდგინე ჩემს წერილობით მოსაზრებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. მოსაზრება მიზნად არ ისახავს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერას.

ფაქტობრივი გარემოებები

გამომიების მტკიცებულებები

სისხლის სამართლის N041190920001 საქმის ფარგლებში ჩატარებულია არაერთი საგამომიებო/საპროცესო მოქმედება. თუმცა, საგულისხმოა, რომ ქუთაისის რაიონული პროკურატურის შუამდგომლობებს⁴ [REDACTED] და [REDACTED] მიმართ პირადი ჩხრევის განხორციელების თაობაზე საფუძვლად დაედო უზნის ინსპექტორ-გამომიებელ [REDACTED] პატაკი⁵, რომლის თანახმად, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, 2020 წლის 19 სექტემბერს, ქუთაისში, [REDACTED] ში მდებარე სს მისო [REDACTED] ქურდობის ფაქტი ჩადენილი უნდა ყოფილიყო [REDACTED] და [REDACTED] მიერ. პატაკის მიხედვით, [REDACTED] და [REDACTED] პირადად ინახავდნენ ფარულად დაუფლებულ ოქროს სამკაულებს და ფულად თანხას.

ქუთაისის რაიონული პროკურატურის შუამდგომლობები [REDACTED] და [REDACTED] პირადი ჩხრევის ჩატარების თაობაზე დაკმაყოფილდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 ნოემბრის N11ბ/653-20 და N11ბ/652-20 განჩინებებით. განჩინებების თანახმად, საგამომიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემას საფუძვლად დაედო წარდგენილი მასალები: გამომიების დაწყების აღრიცხვის ბარათი, პატაკი, შეტყობინება, მოწმეთა გამოკითხვის ოქმები, დათვალიერების ოქმები და სხვა. საგულისხმოა, რომ მოწმის

¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 43, პუნ. 2.

² „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „ე“.

³ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 55, პუნქ. 1.

⁴ 2020 წლის 24 ნოემბრის NKK0000753843NN შუამდგომლობა – [REDACTED] თაობაზე, 2020 წლის 24 ნოემბრის FJ0000753846XW შუამდგომლობა – [REDACTED] თაობაზე.

⁵ 2020 წლის 24 ნოემბრის NMIA 1 20 02739102 პატაკი.

სახით გამოკითხულია პატაკის შემდგენელი პოლიციის თანამშრომელი, ასევე, პოლიციის თანამშრომლების მიერვე არის შედგენილი დათვალიერების ოქმები.

ბრალდების თანახმად, [REDACTED] და [REDACTED] ჩაიდინეს სსკ 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „ა“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული, ხოლო [REDACTED] - სსკ 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ პირველი ბრალდება ძირითად მტკიცებულებად ეყრდნობა [REDACTED] და [REDACTED] საცხოვრებელი სახლებიდან და პირადი ჩხრეკის დროს ამოღებულ ნივთებს. სსკ 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ბრალდება კი სრულად დაფუძნებულია ბრალდებულის პირადი ჩხრეკის ოქმს და მოწმის სახით გამოკითხულ, ჩხრეკაში მონაწილე პოლიციის თანამშრომლის⁶ ჩვენებას.

[REDACTED] დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმების თანახმად, ბრალდებულის დაკავება განხორციელდა 2020 წლის 28 ნოემბერს 16:52 სთ.-ზე, ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას N11 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, პირადი ჩხრეკის დასრულების შემდეგ. ამასთან, პირადი ჩხრეკის ოქმის მიხედვით, „შავი სპორტული მოსაცმელის მარცხენა ჯიბიდან ამოღებული იქნა შავი ფერის თეთრ ნახატებში გაწყობილი ე.წ. „ბენდენა“, რომელშიც მოთავსებულია ორი სხვადასხვა ზომის პოლიეთილენის შეკვრა. მცირე ზომის შეკვრაში მოთავსებულია მოყავისფრო ფხვიერი მასა, მეორე პოლიეთილენის შეკვრაში მოთავსებულია მოყავისფრო ფხვიერი მასა.“ ჩხრეკის ოქმის თანახმად, რაიმე ტექნიკური საშუალება გამოყენებული არ ყოფილა, არ დასწრებია ნეიტრალური პირი და არ მომხდარა პროცესის ვიდეო ფიქსაცია. [REDACTED] თავიდანვე უარს აცხადებდა საგამომიებო მოქმედების ჩატარებაზე, შესაბამისად, ოქმს ხელს აწერენ მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები.

[REDACTED] დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმების თანახმად, ბრალდებული დაკავეს 2020 წლის 28 ნოემბერს 20:21 საათზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. ქუთაისის პოლიციის პირველი განყოფილების შენობაში, თუმცა, მისი პირადი ჩხრეკა განხორციელდა 2020 წლის 28 ნოემბერს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ცენტრალური საავტომობილო გზის 110-ე კილომეტრი). ოქმის მიხედვით, სხვა პირად ნივთებთან ერთად, [REDACTED] „მარჯვენა წინა ჯიბიდან ამოღებული იქნა მოყვითალო ფერის ოქროს სამაჯური, რომელსაც შესაკრავებთან აღენიშნებოდა ასო „ფ“ და ასო „გ“.“ ჩხრეკის ოქმის თანახმად, რაიმე ტექნიკური საშუალება გამოყენებული არ ყოფილა, არ დასწრებია ნეიტრალური პირი და არ მომხდარა პროცესის ვიდეო ფიქსაცია. [REDACTED] თავიდანვე უარს აცხადებდა საგამომიებო მოქმედების ჩატარებაზე, შესაბამისად, ოქმს ხელს აწერენ მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული დოკუმენტაცია

სახალხო დამცველის რწმუნებულთან შეხვედრის დროს [REDACTED] აღნიშნა, რომ დაკავების შემდეგ, ბათუმიდან ქუთაისისკენ მომავალ გზაზე პოლიციის თანამშრომლებმა

⁶ დეტექტივის თანაშემწე-გამომიებელი [REDACTED]

ავტომობილში დაანახეს ოქროს სამაჯური და უთხრეს, რომ იყო მისი, როგორც ნივთმტკიცება, რასთანაც რეალურად რაიმე შეხება არ ჰქონია.

პენიტენციურ დაწესებულებაში შეხვედრის დროს [REDACTED] განმარტა, რომ 2020 წლის 28 ნოემბერს დაახლოებით 15:00-16:00 საათზე, ავტომობილით გადაადგილების დროს შეაჩერეს პიკაპის ტიპის ავტომანქანიდან, რის შემდეგაც ძალის გამოყენებით გადმოიყვანეს, დააგდეს ასფალტზე, გადაუგრიხეს ხელები და ნახევარი საათის მანძილზე გააჩერეს სახით ასფალტისკენ. აღნიშნა, რომ ამ დროის მანძილზე ადგილზე მოვიდა პოლიციის არაერთი თანამშრომელი, ის სახეზე ვერ ხედავდა შესაბამის პირებს, თუმცა ერთ-ერთმა მათგანმა რაღაც ნივთი მოუსვა ხელის გულზე და ჩაუდო ქურთუკის მარცხენა ჯიბეში. ამ დროს მან შემოატრიალა თავი და დაინახა პირი, რომელიც შემდეგში აღმოჩნდა გამომძიებელი [REDACTED]

[REDACTED] განმარტებით, მან თავიდანვე გააპროტესტა ნარკოტიკული ნივთიერების ჩადების ფაქტი, რაზედაც განუცხადეს, რომ თუ აღიარებდა ქ. ქუთაისში გახმაურებული ქურდობის ფაქტს, როგორც ჩაუდეს, ისე ამოუღებდნენ ნარკოტიკულ ნივთიერებას. ამასთან, [REDACTED] გადმოცემით, დაკავების ადგილზე დაყვეს დაახლოებით ერთი საათი, რა დროსაც ჩერდებოდნენ გამვლელი პირები, თუმცა პოლიციის თანამშრომლები ყველას აფრთხილებდნენ, რომ დაეტოვებინათ ტერიტორია.

დაცვის მხარის მტკიცებულებები

ნიშანდობლივია, რომ 2020 წლის 28 ნოემბერს პოლიციის თანამშრომლების მიერ შეჩერების დროს [REDACTED] ავტომობილით გადაადგილდებოდა თანმხლებ პირთან, [REDACTED] ერთად, რომლის განმარტებით,⁷ ის პოლიციის თანამშრომლებმა არ დაასწრეს ბრალდებულის პირად ჩხრეკას, გაიყვანეს სხვა ტერიტორიაზე. [REDACTED] გადმოცემით, [REDACTED] შეჩერების შემდეგ აღკვეთილი ჰქონდა თავისუფლება, მას დაადეს ხელბორკილი და მოათავსეს პოლიციის ავტომობილში. გამოკითხვის ოქმის თანახმად, ის და [REDACTED] მთელი დღის მანძილზე ერთად იმყოფებოდნენ და რაიმე ოქროს ნივთი ბრალდებულს თან არ ჰქონია.

აღსანიშნავია, რომ საქმის მასალების თანახმად, [REDACTED] 2020 წლის 28 ნოემბერს გამოიკითხა გამოძიების მიერ, სადაც განაცხადა, რომ [REDACTED] პოლიციის თანამშრომლებმა მოსთხოვეს ავტომობილიდან ჩამოსვლა და როგორც იცის, ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა. აღნიშნულიდანაც იკვეთება, რომ [REDACTED] არ დასწრებია [REDACTED] მიმართ პირადი ჩხრეკის ჩატარებას.

ასევე, [REDACTED] ადვოკატის მიერ გამოკითხული მოქალაქე [REDACTED] განმარტებით, იმყოფებოდა ყვავილების მაღაზიაში (ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას N9 - სამუშაო ადგილი), რა დროსაც პიკაპის ტიპის ავტომობილიდან ოპელის მარკის ავტომობილში მჯდომ პირს მოუწოდეს გაჩერება. დაუყენეს წინ მანქანა, სასწრაფოდ გადმოვიდა რამდენიმე პირი, გაუღეს წინა კარი და ხმამაღლა დაუძახეს, რომ გადმოსულიყო. იმავდროულად, პოლიციის

⁷ ადვოკატის მიერ გამოკითხვის ოქმი.

თანამშრომლებმა იქ მყოფ ადამიანებს, მათ შორის - მას, დაუწყეს ძახილი, რომ დაეტოვებინათ ტერიტორია. მას უშუალოდ, მიუთითეს შესულიყო მაღაზიაში. რამდენიმე ხანში, სახლში წასვლის მიზნით გავიდა გარეთ და დაინახა, რომ ოპელის მარკის ავტომობილის კართან იდგა 50-55 წლის მამაკაცი, რომელიც იყო ძალიან შეშინებული და მთლიანად ცახცახებდა.

საგულისხმოა, რომ [REDACTED] ადვოკატის მიერ შედგენილი დათვალიერების ოქმის (დასურათებით) თანახმად, ბრალდებულის დაკავების ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე (მოპირდაპირე მხარეს) დამონტაჟებულია ვიდეო მეთვალყურეობის კამერა⁸, რომელიც მომართულია გზის სავალი ნაწილისკენ და, სავარაუდოდ, უნდა აფიქსირებდეს პირადი ჩხრევისა და დაკავების განხორციელების ადგილს, თუმცა სისხლის სამართლის საქმის მასალებში არ ფიქსირდება გამოძიების მხრიდან შესაბამისი მასალის ამოღების ან ამოღების მიზნით სასამართლოსთვის მიმართვის შესახებ დოკუმენტი.

ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი

სისხლის სამართლის საქმის მასალების თანახმად, გამოძიებას არ აუღია, ბიოლოგიური (დნმ) ექსპერტიზის ჩატარების მიზნით, ნიმუში [REDACTED] პირადი ჩხრევის დროს ამოღებული ოქროს სამაჯურის მიმართ, რაც განხორციელდა მხოლოდ დაცვის მხარის შუამდგომლობით⁹. გამოძიების მხრიდან ასევე არ განხორციელებულა [REDACTED] შემოწმება ნარკოლოგიურ თრობაზე, არ განხორციელებულა რაიმე საგამოძიებო მოქმედება ნარკოტიკული ნივთიერების შექმნის და სხვა გზით დაუფლების ფაქტის შესასწავლად (გადაადგილების მარშრუტი, სატელეფონო ზარები, სატელეფონო ანძები და სხვა).

საქმის მასალების თანახმად, გამოძიების მიერ არ გამოვითხულა [REDACTED] პირადი ჩხრევისა და დაკავების ადგილზე მყოფი არც ერთი ნეიტრალური პირი, მათ შორის, [REDACTED]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ [REDACTED] და [REDACTED] მიმართ პირადი ჩხრევის განხორციელების შუამდგომლობებზე სასამართლომ განჩინებები¹⁰ გამოსცა 2020 წლის 24 ნოემბერს, რაც პოლიციის თანამშრომლების მხრიდან შესრულდა 2020 წლის 28 ნოემბერს. აღნიშნული გარემოება ცალსახად მიუთითებს, რომ პოლიციის თანამშრომლებს საკმარისი დრო და შესაძლებლობა ჰქონდათ, რათა მიეღოთ გონივრული ზომები ნეიტრალური მტკიცებულებების შექმნის მიზნით ღონისძიებების განსახორციელებლად, რათა ობიექტური დამკვირვებლისთვის სარწმუნო ყოფილიყო ჩხრევის სანდოობა.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ 24 ნოემბრის პატაკში აღნიშნული იყო, რომ [REDACTED] და [REDACTED] პირადად უნდა ინახავდნენ ფარულად დაუფლებულ ოქროს სამკაულებს და ფულად თანხას, პირადი ჩხრევა ჩატარდა 4 დღის შემდეგ და პირადი ჩხრევის ოქმის თანახმად, [REDACTED] ამ დროსაც თან ჰქონდა მარჯვენა ჯიბეში დანაშაულებრივი

⁸ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას N6 ში არსებული ავტოსამრეცხაო.
⁹ 2020 წლის 31 დეკემბრის შუამდგომლობა.
¹⁰ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 ნოემბრის N118/653-20 განჩინება [REDACTED] პირადი ჩხრევის თაობაზე). ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 ნოემბრის N118/652-20 განჩინება [REDACTED] პირადი ჩხრევის თაობაზე).

გზით მოპოვებული ოქროს სამაჯური ინიციალებით. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო აჩენს ეჭვს, როდესაც ბრალდებულთა პირადი ჩხრეკის დროს ობიექტურად არსებობდა ნეიტრალური მოწმის დასწრების ან სხვა სახის მტკიცებულების შექმნის შესაძლებლობა, რაც გამოძიებამ არ განახორციელა.

სამართლებრივი დასაბუთება

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წლის 25 დეკემბერს N2/2/1276 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებებით და ამავე დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული უტყუარობის კონსტიტუციურ მოთხოვნებთან მიმართებაში.

საგულისხმოა, რომ მართალია, განხილულ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა საქმეზე, რომელშიც პირის მიმართ პირადი ჩხრეკა განხორციელდა გადაუდებელი აუცილებლობის დროს გამომძიებლის დადგენილების საფუძველზე, თუმცა, ცალსახაა, რომ სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმის შინაარსი¹¹ არ აკონკრეტებს პირადი ჩხრეკის განხორციელების კონკრეტულ სამართლებრივ საფუძველს (გამომძიებლის დადგენილება, სასამართლოს განჩინება) და ასახავს ჩხრეკის განხორციელების ზოგად წესს.

მართალია, სასამართლომ ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადება გადაავადა 2021 წლის 1 ივლისამდე, თუმცა გადაწყვეტილებაში ფუნდამენტური განმარტებები გააკეთა პირადი ჩხრეკის განხორციელების სანდოობისა და ბრალდებულის პირის დაუცველობის კუთხით. ამასთან, 1 ივლისის შემდეგ, საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელების შედეგად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებისთვის სავალდებულო უნდა გახდეს პირადი ჩხრეკის დროს ყველა ზომის მიღება ნეიტრალური მტკიცებულების შექმნის მიზნით, თუმცა, მნიშვნელოვანია, საერთო სასამართლოებმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით იხელმძღვანელონ გარდამავალ პერიოდშიც, რათა თუნდაც ერთი ადამიანი არ დარჩეს დაუცველი და უფლებები იყოს მაქსიმალურად გარანტირებული.

¹¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა ჩვენებებით და ამავე დროს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.

საკონსტიტუციო სასამართლომ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში¹² აღნიშნა, რომ „ზოგადად, პირის მფლობელობაში ნივთის აღმოჩენა ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ ეს ნივთი მას ეკუთვნოდა და ეს ჰიპოთეზა შეუსაბამო არ არის მტკიცების ტვირთთან და *in dubio pro reo*-ს პრინციპთან. თუმცა ამ პრეზუმფციის ნეიტრალური მტკიცებულებებით გამყარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, როდესაც აღმოსაჩენი ნივთი შეიძლება პირის ბრალდების მთავარი საფუძველი იყოს. ასეთ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეზე დავის საგანი სწორედ ამოღებული ნივთის ქონა არქონაა. შესაბამისად, ჰიპოთეტურად რომ წარმოვიდგინოთ, თუ მართლაც მოხდა პოლიციელების მიერ ნივთის „ჩადება“, რა ბერკეტები რჩება ბრალდებულს, დაამტკიცოს თავის სიმართლე იმ პირობებში, როდესაც ჩხრეკის თვითმხილველი ყველა პოლიციელი ერთნაირ ჩვენებას იძლევა, ხოლო საქმეზე არ არსებობს სხვა მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ან უარყოფდა ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში აღმოჩენას?! აძლევს თუ არა ეს გარემოება ნეიტრალურ არბიტრს საკმარის საფუძველს, გაფანტოს ეჭვები ბრალდებულის უდანაშაულობის შესახებ?!“

საკონსტიტუციო სასამართლომ ხსენებულ საქმეში განმარტა, რომ „საგამოძიებო მოქმედების კომპლექსურობის გათვალისწინებით, ყველა შემთხვევაში, ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ვერ მოხდეს ჩხრეკის ფაქტის ნეიტრალური მტკიცებულებით გამყარება, თუმცა უნდა დადასტურდეს, რომ უფლებამოსილმა პირმა მიიღო გონივრული ზომები იმისთვის, რომ უზრუნველყო ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება. ამის აშკარა მაგალითია, როდესაც საქმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ პირის ან მისი მფლობელობის ჩხრეკის პროცესზე ნეიტრალური მოწმის დასწრების შესაძლებლობა ობიექტურად არსებობდა და პოლიციელებმა ეს არ უზრუნველყვეს. უფრო მეტიც, თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესი იძლევა შესაძლებლობას, რომ ჩხრეკის პროცესის ვიდეოგადაღება განხორციელდეს იმისათვის, რომ გამყარდეს ბრალდების პოზიცია. მტკიცებულების სანდოობისადმი მნიშვნელოვან ეჭვს ასევე აჩენს გარემოება, როდესაც პოლიციელთა უსაფრთხოების დაცვის პირობებში, არსებობდა ჩხრეკის ვიდეო გადაღების შესაძლებლობა და პოლიციელმა ის არ გამოიყენა.“¹³

ნეიტრალური მტკიცებულების შექმნის ვალდებულებას სახელმწიფოს ცალსახად აკისრებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტი. ევროპული სასამართლო საკმარისად არ მიიჩნევს მხოლოდ ორი პოლიციელის განმარტებას და სახელმწიფოს ავალდებულებს სადავო ინფორმაციის გადამოწმებას გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად.¹⁴ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო არასარწმუნოდ მიიჩნევს გამოძიებას, რომლის დასკვნები მხოლოდ მოწმე პოლიციელთა ჩვენებებს ეყრდნობა და განმარტავს, რომ სასამართლოსთვის გაუგებარია, თუ რატომ არ მოხდა სხვა თვითმხილველი პირების დაკითხვა, რათა ამ გზით გამყარებულიყო მოწმე პოლიციელთა ჩვენება¹⁵ სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფომ უნდა მოიძიოს ნეიტრალური მტკიცებულებები, რადგან

¹² გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, N2/2/1276 გადაწყვეტილება, 2020 წლის 25 დეკემბერი, პარაგრაფი 104.

¹³ იქვე, პარაგრაფი 107.

¹⁴ ვირაბიანი (Virabyan) სომხეთის წინააღმდეგ, 40094/05, პარ N224, 2012.

¹⁵ ოჩელკოვი (Ochelkov) რუსეთის წინააღმდეგ, 17828/05, პარ N123, 2013.

პოლიციის ოფიცერთა ჩვენებები შეიძლება თავდაცვითი ხასიათის იყოს¹⁶ ან ეყრდნობოდეს სუბიექტურ გარემოებებს.¹⁷

მოცემულ საქმეში, [REDACTED] და [REDACTED] მიმართ პირადი ჩხრეკის ჩამტარებელ პირებს ადვილად შეეძლოთ ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება, რადგან ჩხრეკის ჩატარების ადგილზე იმყოფებოდნენ მოქალაქეები და შეეძლოთ მოეწვიათ პროცესის მოწმეებად. საქმეზე დაცვის მხარის მიერ გამოკითხული მოწმის ჩვენებიდან, ირკვევა, რომ [REDACTED] დაკავების დროს, პოლიციელებმა მათ მოსთხოვეს შემთხვევის ადგილის დატოვება.

ამასთან, მაშინ როდესაც [REDACTED] და [REDACTED] აცხადებენ, რომ მათ პოლიციის თანამშრომლებმა ჩაუდეს დანაშაულში მამხილებელი მთავარი ნივთმტკიცება, გამოძიების მიერ ამ საქმის ფარგლებში არ იქნა მოძიებული არანაირი ინფორმაცია შემთხვევის ადგილის მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლო ვიდეო კამერების ჩანაწერების ამოღების თაობაზე, რათა მომხდარიყო ექვსის გამომწვევი გარემოების გამორიცხვა და გაბათილება. შესაბამისად, პოლიციის თანამშრომლების ჩვენებების სარწმუნეობის სათანადო სტანდარტით **გადამოწმება ვერ მოხდა გამოძიების უმოქმედობის გამო.**

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ნეიტრალურ მტკიცებულებებთან დაკავშირებით სწორი სასამართლო პრაქტიკაც გვხვდება, საერთო სასამართლოების მიერ განხილულ სისხლის სამართლის ზოგიერთ საქმეზე. ერთ-ერთ საქმეში მოსამართლემ იმსჯელა ჩხრეკის სტანდარტზე, სადაც პრობლემურად არის მიჩნეული ჩხრეკის ჩატარების დროს გარეშე პირის არდასწრება მაშინ, როდესაც ამის საშუალება არსებობს და ასევე, ყურადღება გამახვილებულია ჩხრეკის ჩატარების დროს თუნდაც პოლიციის თანამშრომელთა პირადი მობილური ტელეფონით ვიდეოგადაღების საჭიროებაზე.¹⁸

დასკვნა

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოქალაქეთა დამკავებელ პირებს მარტივად შეეძლოთ ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება (ირგვლივ მყოფ მოწმეთა ჩხრეკაზე დასწრება, ჩხრეკის ვიდეოგადაღება), თუმცა ეს არ მომხდარა. გამოძიებამ ასევე არ მოიპოვა ნეიტრალური მტკიცებულება მოგვიანებით, მიმდებარე ტერიტორიაზე ვიდეოკამერის არსებობის გადამოწმებისა და შესაძლო ჩანაწერების მოპოვების სახით. ამრიგად, საქმეში არსებული მთავარი მტკიცებულება ემყარება ოპერატიული ინფორმაციის შედეგად ჩატარებულ ჩხრეკას, რომელთან დაკავშირებითაც მხარეებს სხვადასხვა პოზიცია გააჩნიათ, ხოლო ნეიტრალური მტკიცებულება გამომძიებელთა ქმედებების გამო ვერ იქნა მოპოვებული.

შესაბამისად, წინამდებარე საქმეს დიდი მნიშვნელობა გააჩნია პოლიციის მხრიდან ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების დამკვიდრების ვალდებულებაში, რასთან დაკავშირებითაც უკვე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ. სისხლის

¹⁶ ბარაბანშიკოვი (Barabanshchikov) რუსეთის წინააღმდეგ, პარ N61, 36220/02, 2009.

¹⁷ მიქიაშვილი (Mikiashevili) საქართველოს წინააღმდეგ, 18996/06, პარ N82, 2012.

¹⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის განაჩენი N1/3447-15.

სამართლის საქმის სამართალწარმოების პროცესში ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება უზრუნველყოფს საკმარისი მტკიცებულების წარდგენას და მნიშვნელოვნად შეამცირებს თვითნებობის რისკებს. ნეიტრალური მტკიცებულების გარეშე, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებზე დაყრდნობით პირთა დამნაშავედ ცნობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. ხოლო, იმ შემთხვევაში კი, თუკი სასამართლო ზემოაღნიშნული ვალდებულებების დარღვევას სათანადო მნიშვნელობას არ მიანიჭებს, მოქალაქეებზე აღმასრულებელი ხელისუფლების ძალაუფლება ყოველგვარი კონტროლის გარეშე იქნება დარჩენილი.

მოცემული მსჯელობა სრულად შეესაბამება კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს. შესაბამისად, აუცილებელია სისხლის სამართლის სასამართლოების პრაქტიკის ცვლილება, რათა ადეკვატური რეაგირება მოყვეს ნეიტრალური მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულების შეუსრულებლობასა და პოლიციელთა მიერ ნეიტრალური ჩვენებების თვითნებურად არგამოყენების ფაქტებს.

ვიმედოვნებ, ქუთაისის საქალაქო სასამართლო ჯეროვნად იმსჯელებს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და წარმოადგენს დასაბუთებულ პოზიციას განსახილველ საკითხებზე, ვინაიდან გარემოებების გადაწყვეტა უშუალო გავლენას ახდენს როგორც ინდივიდების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე, ასევე, სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზე, რის გამოც მოგმართავთ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ვიხელმძღვანელებ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტითა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლით.

დამატებით, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, გამოვთქვამთ მზადყოფნას საქმის არსებით განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

ბ- 

სახალხო დამცველი

